

გიყვართ ტურიზმი? გივლიათ ფეხით საქართველოს მთებში? ხაცალფეხო ბილიკზე შემდგარს მოგისმენიათ ბეწვრი ტყის ლამაზი შრიალი? შელამებულზე მეგობრებთან ერთად დაგინთიათ ცეცხლი არაგვის პირზე ან საძილე ტომარაში ჩათბუნებულს გაგითევიათ ღამე ათასი ამბის მომსწრე ტანდაკორძებული მუხის ძირში?

თუ ეს სიხარული არ გიგრძვნიათ, იცოდეთ, ბევრი რამ დაგაკლდებიათ ცხოვრებაში. ნუღარ კარგავთ დროს, მიჰბაძეთ ამ ტურისტ ახალგაზრდებს: შემოიკრიბეთ მეგობრები, წამოიკიდეთ ზურგჩანთები და გაუდექით გზას. იცით, რამდენია ასეთი ლამაზი ადგილი საქართველოში?

გიყვარდეთ ტურიზმი, როგორც სპორტის ერთი ულამაზესი სახეობა, როგორც სულისა და ჯანის სიმხნევის წყარო, როგორც ჩვენსა და ბუნებას შორის გადებული საიმედო ხიდი.

ა. გურასაშვილის ფოტო.

# კვლავ მსოფლიო რეკორდები

ვენა, 23 აგვისტო. ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვის ფინალში საბჭოთა სპორტსმენი, მოსკოველი ნ. პანკინი უკვე კონტინენტის ჩემპიონის ტიტულით გამოვიდა (იგი ხომ პირველი იყო 100 მეტრზე ასპარეზობაში). პირველი ადგილისთვის ბრძოლა ძალიან საინტერესო გამოდგა. ერთმანეთს მეტოქეობას უწევდნენ პანკინი და ინგლისელი მსოფლიო რეკორდსმენი დ. უილკი. ფინიშთან მაინც მსოფლიო რეკორდსმენი მივიდა პირველი — 2.20,42. საბჭოთა მოცურავემ 2.22,84 აჩვენა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მხოლოდ ერთ დღეს იარსება ქალთა მსოფლიო რეკორდმა ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში. როგორც ცნობილია, ეს მიღწევა ეკუთვნოდა გდრ-ის გუნდის წევრს რ. ფოგელს, რომელმაც სარეკორდო შედეგი წინასწარ გაცურვაში აჩვენა — 1.12,91. და აი, ფინალურ შეჯიბრებაში სტარტიდან ფინიშამდე მიუღწეველი აღმოჩნდა დასავლეთგერმანელი კ. იუსტენი, რომელიც ჩემპიონიც გახდა და ფოგელის მსოფლიო რეკორდიც გააუმჯობესა — 1.12,55. ფოგელი ამჯერად მეორე იყო — 1.13,69.

100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ტოლი არ ჰყავდა უ. რიხტერს (გდრ). როგორც ცნობილია, ამ სახეობაში ერთ-ერთი წინასწარი გაცურვისას მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა (1.04,99), ხოლო ფინალურ შეჯიბრებაში არა მარტო ევროპის ჩემპიონი გახდა, არამედ გააუმჯობესა კიდეც თავისი მიღწევა — 1.03,30. გდრ-ის გუნდს კიდევ ერთი ოქროს მედალი მოუტანა ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. მათესმა, რომელმაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.04,64 აჩვენა.

* * *

საწყლოსნო სახეობებში ევროპის პირველობის პროგრამით გათვალისწინებული წყალბურთელთა ტურნირი, რომელიც ვენის „შტადტჰალეს" საცურაო აუზში მიმდინარეობს, დასასრულს უახლოვდება. მეტოქეებს სათამაშო დარჩათ 2-2 მატჩი.

რა მდგომარეობაა გათამაშების ცხრილში გადამწყვეტი მატჩების წინ? ჩემპიონატს ლიდერობს ორი კოლექტივი — უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, რომლებმაც 4 მატჩიდან 7-7 ქულა დააგროვეს. მაგრამ უნგრელებს გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება უკეთესი (+13) აქვთ, ვიდრე საბჭოთა წყალბურთელებს (+8).

ჩემპიონობის საკითხს ალბათ გადაწყვეტს ლიდერების მატჩი.

აქ შედგა ევროპის წყალბურთის კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაადგინა კონტინენტის ჩემპიონთა თასის ტრადიციული გათამაშების დრო და ადგილი. ამ თასისთვის მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებთან ერთად ჯგუფში ითამაშებენ ბულგარეთის, გფრ-ის, ესპანეთისა და პოლონეთის გუნდები.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 168 (5198)

1974 წ. 25 აგვისტო, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




# უნგრელ ჭაბუკთა გამარჯვება

მოსკოვი, 23 აგვისტო. საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში დამთავრდა იუნიორ წყალბურთელთა ტურნირი „მეგობრობა", რომელშიც სსრ კავშირის (2), ბულგარეთის, კუბის, კოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს სსრ კავშირის I გუნდმა და უნგრეთის ჭაბუკებმა. დანარჩენები მათ საგრძნობლად ჩამოუვარდებოდნენ როგორც ტექნიკით, ისე ტაქტიკური აზროვნებით. გასაგები იყო, რომ ლიდერების შეხვედრას უნდა დაესახელებინა პრიზის მფლობელი. მატჩი მოიგეს უნგრელებმა (5:4) და I ადგილისკენ გზა გაიკაფეს.

მართალია, ერთპიროვნულმა ლიდერებმა, უნგრელებმა მარცხი იწვნიეს სსრ კავშირის II ნაკრებთან შეხვედრაში (5:7), მაგრამ ამას მათს საერთო გამარჯვებაზე არ უმოქმედია. „მეგობრობის" ტურნირში გაიმარჯვა უნგრეთის გუნდმა — 11 ქულა. II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა (10). III ადგილზე არიან კუბელები (9).

**1974**

◆ ვენა, 24 აგვისტო. საწყლოსნო სახეობებში ევროპის ჩემპიონატში 3-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომა მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვედმა უ. კნაპემ — 465,57. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს — ო. საფონოვას (460,17) და ი. კალინინას (455,34). წყალბურთელთა ტურნირში მოულოდნელი შედეგით — 5:5 დამთავრდა პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტის, სსრ კავშირის ნაკრების შეხვედრა რუმინელ სპორტსმენებთან.

◆ კავანა, 14 აგვისტო. მოკრივეთა აქ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის მეორე წრე უვნებლად განვლო მეორე უმძიმესი წონის საბჭოთა სპორტსმენმა ვ. ზასიპკომ. მან პირველსავე რაუნდში ორჯერ ჩააგდო ნოკდაუნში განელი ჯ. კულეო. მეორე რაუნდში ბრძოლა შეწყდა და გამარჯვება ზასიპკოს მიეკუთვნა. იუნიორთა შორის ევროპის შარშანწინდელმა ჩემპიონმა, მსუბუქი წონის პერმელმა ათლეტმა ვ. სოლომინმა შეხვედრა მოუგო უნგრელ ა. ბოტოშს.

# ბორის კუზნეცოვის დაბრუნება

ბორის კუზნეცოვის სპორტულ ბიოგრაფიაში ყველაზე მნიშვნელოვანია 1972 წელი. ამ წელს მიუნხენში მან ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო. რისთვის შეიძლება იბრძოლოს კიდევ მოკრივემ? კუზნეცოვმა თავისი კარიერა დასრულებულად მიიჩნია და სპორტს თავი მიანება. ოლიმპიური ჩემპიონი ყელამდე ჩაეფლო ახალ საქმეში — ასტრახანის ბავშვთა სპორტსკოლის რეორგანიზაციაში, რომლის დირექტორიც იგი იყო.

მაგრამ... კედელზე უქმად ჩამოკიდებულ წყვილ ხელთათმანს გულგრილად ვერ უყურებდა. მთელი თავისი შეგნებით მაინც მოქმედი სპორტსმენი იყო და ხშირად გული რინგისკენ მიუწევდა. მერე კი, როცა ცნობილი გახდა მსოფლიოს I ჩემპიონატის ჩატარების ამბავი, მტკიცედ გადაწყვიტა დაბრუნება. მაგრამ სპორტიდან ერთხელ წასულმა ენერგიის დამატებითი მარაგი უნდა გამონახოს იმისთვის, რომ კვლავ უძლიერესთა შორის აღმოჩნდეს. სხვა როლი ოლიმპიურ ჩემპიონს ხელს არ აძლევდა.

კუზნეცოვმა ყველაფერი თავიდან დაიწყო, თითქოს ის-ის იყო ეზიარა დიდი კრივის ხელოვნებას. და სულ მალე აღიდგინა ძველი სპორტული ფორმა. სხვაგვარად სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ვერც მოხვდებოდა.

... ჰავანის „კოლიზეუმში" კუზნეცოვმა უკვე ორი ბრძოლა ჩაატარა და ორივე მოიგო. მაგრამ ხოგებაც არის და მოგებაც. არც ერთ შეხვედრაში მსაჯები არ დაეჭვებულან „განაჩენის" გამოტანისას. კუზნეცოვი ისევ ის მებრძოლი იყო, ფრთხილი და ეშმაკი, აზარტული და შემტევი, უაღრესად წინდახედული და რაციონალური. ასეთი ტიპისა და კლასის მოკრივე იმთავითვე დიდი საქმეებისთვის „განწირულად" ითვლება, კუზნეცოვს კი ერთადერთი სურვილი ამოქმედებს — მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს. ეს ტიტული არც მას და არც მის მეტოქეებს ჯერ არ ჰქონიათ.

თუ რამდენად სერიოზულია ოლიმპიური ჩემპიონის გეგმები, ერთხელ კიდევ ცხადყო მისმა შეხვედრამ ევროპის ჩემპიონ შტეფან ფორსტერთან (გდრ) მეორე წრეში. კუზნეცოვმა ბრძოლა დიდოსტატური სტილით მოიგო და კიდევ ერთი სერიოზული განაცხადი შეიტანა უმაღლესი ჯილდოს მისაღებად. ხუთივე გვერდითმა მსაჯმა და არბიტრმა ერთხმად მოაწერა ხელი ოლიმპიური ჩემპიონის გამარჯვებას.

* * *

სურათზე: ბორის კუზნეცოვი რინგზე.



რსფსრ-ს წარმომადგენელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, წყალში მხტომელ ი. კალინინას წლეულს II საპრიზო ადგილები დაეკავება დიდ შეჯიბრებებში. ჯერ იყო და II ადგილი დაიკავა საკავშირო თასის გათამაშებაში, შემდეგ კვლავ საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე დადგა მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადაში. და აი, ახლა მან კვლავ ვერცხლის მედალი ხვდა — ამჯერად ვენაში, ევროპის ჩემპიონატში.

სურათზე: ი. კალინინა.

# ისევ სსრ კავშირი და აშშ

კოლუმბიაში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების პოპულარული ტურნირი — ეროვნებათა თასის გათამაშება, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენების გარდა მონაწილეობენ ურუგვაის, შეერთებული შტატებისა და ბულგარეთის კოლექტივები.

I ტურში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ურუგვაის გუნდი — 84:72.

დაძაბული იყო ტურნირის მეორე ფავორიტის აშშ-ს გუნდის შეხვედრა ბულგარელებთან. გაიმარჯვეს ამერიკელმა სპორტსმენებმა — 100:91.

# მეტი ყურადღება სოფლის ფიზკულტურელებს!

„კოლმეურნის" სამტრედიის რაიონული საბჭო სისტემატურად ზრუნავს სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან დიდი ჯიხაიშისა და კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმების, ღანირისა და ბაშის მეთესლეობის ექსპერიმენტული მეურნეობის, რაიკოოპკავშირის, „საქსოფლტექნიკის" გაერთიანების, ეწერის რუსთაველის, იანეთის ჩაჩარაძის, ძულაურის ლესელიძის, ნაფალაურის კეცხოველისა და ჭოგნარის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივები.

მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადებისთვის. სოფლის სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობენ რაიონულ თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული წარმატებების მიღმა კვლავ გვხვდება ნაკლოვანებები, ძირითადად მასობრიობის მხრივ. თუ 15-20 წლის წინათ რაისაბჭოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში 18-20 გუნდი იყრიდა თავს, დღეს ეს რიცხვი 10-მდე დავიდა. ასეთივე ბედი ეწია ლელობურთს, რომელშიც დღესდღეობით 4-5 გუნდი ასპარეზობს ხოლმე. ამ სახეობათა ხვედრი გაიზიარესველოსპორტმა, მძლეოსნობამ, კალათბურთმა, ტანვარჯიშმა და სხვ. ერთი სიტყვით, მასობრიობამ საგრძნობლად იკლო.

სოფლად ნაკლები ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს, გამაჯანსაღებელ მუშაობას, ტურისტულ ლაშქრობებს მშობლიური კუთხის გასაცნობად. ყველგან კეთილმოწყობილი არ არის მარტივი ტიპის მოედნები, ხოლო საცურაო ადგილების მოწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სოფლის ახალგაზრდობა განიცდის სპორტული ფორმა-ინვენტარის ნაკლებობას.

სოფლების თავკაცები რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების ორმოცდამეერთე პარაგრაფს, სადაც ნათლადაა მითითებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური აღზრდის ღონისძიებათა შესახებ. ამიტომ ახალგაზრდობა სოფელს ტოვებს და ქალაქისკენ იჩქარის. ამით სოფელში არა მარტო მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა იშლება, არამედ კოლმეურნეობებშიც დიდად ფერხდება საქმიანობა.

ამ საკითხებზე იყო ცხოველი სჯაბაასი აქას წინათ გამართულ „კოლმეურნეს" რაისაბჭოს მეორე პლენუმზე. მოხსენებით — სოფლად მასობრივი, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შესახებ — გამოვიდა რაისაბჭოს თავმჯდომარე ჯ. ვაშაკიძე. კამათში მონაწილეობა მიიღეს ღანირის მეთესლეობის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორმა გ. ღვინიანიძემ, კულაშის ზოოვეტტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. შენგელიამ, საცხენოსნო სპორტული კლუბის უფროსმა ნ. კაპანაძემ, დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. მეგრელიშვილმა, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორმა პ. მიქაძემ, ბაშის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ი. ნაფეტვარიძემ, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ვ. გორიჭიანმა და საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. კიკაბიძემ.

პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიება.

**ვ. ჯონაძე.**

# გუნდის ინტერესებისთვის

გივი კალატოზიშვილი ახალბედა რევბისტი იყო, მაგრამ გული მაინც ჭიდაობისკენ მიუწევდა. მერე საბოლოოდ გადაწყვიტა ფალავანი გამხდარიყო და ახალგაზრდა მწვრთნელ ნუგზარ გაჩეჩილაძეს მიაკითხა. მწვრთნელმა ფიზიკურად ძლიერ ყმაწვილში იმთავითვე მომავალი ჩემპიონი დაინახა და დაიწყო...

მასწავლებელმა და მოწაფემ პირველად მაშინ გაიხარეს, როცა გივიმ ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში III ადგილი დაიკავა. ახლა მომავალი დიდი შეჯიბრებისთვის — მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადისთვის დაიწყეს მზადება.

და აი, ალმა-ათაში დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობა. მაგრამ იქ, ჩვენდა გასაოცრად, გივი არათუ პრიზიორებში, არამედ მონაწილეებშიც ვერ გიხილეთ.

თურმე გუნდის ინტერესებისთვის გივის „კლასიკოსთა" შეჯიბრებაში მოსთხოვეს გამოსვლა და გამოვიდა კიდეც. გამოვიდა კი არა, ოთხი წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ერთი შეხვედრაც ქულებით მოიგო.

— ელოდით ასეთ წარმატებას „კლასიკოსთა" შეჯიბრებაში? — ვკითხეთ ჩემპიონს.

— რა თქმა უნდა! — იყო პასუხი.

გივიმ ამ ზამთარში კლასიკურ ჭიდაობაში მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობაშიც გაიმარჯვა, — დასძინა მისმა მწვრთნელმა.

— თავისუფალი სტილით ჭიდაობაში რომ გეცადა ძალა? — ვკითხეთ სპორტსმენს.

— ოო, თავისუფალ ჭიდაობაში თავს მართლაც თავისუფლად ვიგრძნობდი, — გვიპასუხა ჭაბუკმა.

თბილისის მე-12 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული არც აპირებს თავისუფალ ჭიდაობას უღალატოს. მაგრამ თუ გუნდის ინტერესები მოითხოვს, მაშინ...

• • •

სურათზე: გ. კალატოზიშვილი.





# აი, ვინ გვასახელა!

ჩვენი მოჭადრაკეები მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების ისტორიაში პირველად მოხვდნენ საპრიზო ადგილზე.

სურათზე: მარცხნიდან — ზ. აზმაიფარაშვილი, ზ. თანდაშვილი, მ. ჩიბურდანიძე, ი. ეფიმოვი, ზ. ლიფანოვი, გ. ხაილენკი, მ. წერეთელი, ზ. ბურჭულაძე, ზ. სტურუა. გუნდურ შეჯიბრებაში მათ ბრინჯაოს მედლები ხვდათ.

მ. ჩიბურდანიძეს პირველ დაფაზე III ადგილი ერგო. მ. წერეთელმა მეორე დაფაზე II ადგილი დაიკავა. ამავე დაფაზე ჭაბუკთა შორის უველას აჯობა ზ. სტურუამ.

• •

საქართველოს ჭაბუკ მძლეოსანთა კვარტეტს 4×100 მეტრზე ესტაფეტაში მხოლოდ ფოტოფინიშმა „წაართვა" ვერცხლის მედალი. მაგრამ არც ბრინჯაოს მედალია ცუდი.

ამ სურათზე სწორედ ჩვენი „ბრინჯაოს" ბიჭები არიან აღბეჭდილი: მარცხნიდან — გ. დინგაშვილი, გ. ბალაშვილი, ვ. ხახვიაშვილი და ქ. ივანოვი.

ა. გურასაშვილის ტექსტი და ფოტოები.



# დაწინაურდა „ტრუდი"

ჭადრაკში საკავშირო თასის გათამაშებაში ორი ტურის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. საბოლოო შედეგები ასეთია: I ტური — „ბურევესტნიკი" — „სპარტაკი" 5:4, „ლოკომოტივი" — „ტრუდი" 1,5:7,5, „დაუგავა" — „ზენიტი" 6,5:2,5, ცდსა — „ავანგარდი" 4:5, „მოლდოვა" — „დინამო" 3:6.

II ტური: „ბურევესტნიკი" — „ლოკომოტივი" 5:4, „ტრუდი" — „დაუგავა" 5:4, „ზენიტი" — ცდსა 4:5, „ავანგარდი" — „მოლდოვა" 7:2, „სპარტაკი" — „დინამო" 7:2.

III ტურში „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" შეხვედრაში გუნდების ლიდერების — მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ბ. სპასკისა და ტ. პეტროსიანის შეხვედრა გადაიდო პეტროსიანის უპირატესობით. ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ (4 პარტია გადადებულია).

„ბურევესტნიკისა" და „დაუგავის" მატჩში ანგარიშით 3,5:1,5 (4) იგებს „ბურევესტნიკი". მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ვ. სმისლოვისა და მ. ტალის შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

„ტრუდი" უგებს ცდსა-ს — 3:1 (5). ვ. ცეშკოვსკიმ დაამარცხა დიდოსტატი ე. გელერი.

სამი ტურის შემდეგ დაწინაურდა „ტრუდი" — 15,5 ქულა (5 გადადებული პარტია).

# ადგილები განაწილდა

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში დამთავრდა ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა. როგორც ვიცით, ბოლო, IX ტურის წინ ჩემპიონობა უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდა ინგლისელ ჯ.-ჯ. მაილს. ამიტომ მან ბოლო ტურში მე-15 სვლაზე ზავი შესთავაზა ჰოლანდიელ რ. დიკსს. ეს უკანასკნელიც სასწრაფოდ დათანხმდა. ჰოლანდიელის გადაწყვეტილება სავსებით გასაგებია: მას 5,5 ქულა დაუგროვდა და, სულ ცოტა, II-III ადგილის გაყოფის შანსი ჰქონდა. შეხვედრები მოიგეს მისმა ძირითადმა მეტოქეებმა: იუგოსლაველმა ს. მარიანოვიჩმა დაამარცხა ბრაზილიელი ჟ. სუნიე — ნეტო, ხოლო შვედმა ლ. შნაიდერმა — კოლუმბიელი რ. ხენაო. სამივემ 5,5 ქულა დააგროვა, მაგრამ უპირატესობა დიკსს მიენიჭა, რადგან კოეფიციენტების ცხრილით იგი მეტოქეებზე წინ აღმოჩნდა. III ადგილზე დარჩა იუგოსლაველი, ხოლო IV — შვედი.

4,5 ქულა დააგროვა სამმა მონაწილემ: პ. მაკმა (გფრ), ლენინგრადელმა ა. კოჩიევმა და არგენტინელმა ს. გიარდელიმ. მაკმა ბოლო ტურში მოუგო კოჩიევს და დაეწია კიდეც მას, ხოლო გიარდელიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ამერიკელ პ. უინსტონთან. კოეფიციენტების ცხრილით V ადგილი მიეკუთვნა მაკს, VI — კოჩიევს, VII — გიარდელის.

ფინალის დანარჩენ მონაწილეთა შედეგები ასეთია: VIII. უინსტონი 3,5 ქულა, IX. სუნიე-ნეტო — 2, X. ხენაო — 2.

# სპორტსა და სწავლაში მოწინავე

დილარ ხაბულიანი არც ისე დიდი ხანია სპორტში მოვიდა. ამ ხუთი წლის წინათ ლენტეხელმა ჭაბუკმა პირველად შეაღო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კარი, წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა სტუდენტად სათხილამურო სპორტის სპეციალობით.

— აი, როგორ იხსენებს სპორტსმენი ამ პერიოდს: „ჯერ კიდევ მისაღები გამოცდების დროს ვნახე იმ სპორტსმენთა სია და ფოტოსურათები, რომლებსაც სხვადასხვა დროს დაუმთავრებიათ ინსტიტუტი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ თუ სტუდენტი გავხდებოდი, აუცილებლად მათსავით მესახელებინა სასწავლებელი. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო თავაუღებელი მეცადინეობა, შრომა ინსტიტუტში, სპორტში".

სტუდენტობის დროს მიღებული გადაწყვეტილება მისი შემდგომი ცხოვრების თავისებური პროგრამა გახდა. მეორე კურსზე ყოფნისას ხაბულიანმა სპეციალობა შეიცვალა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. მაზიაშვილის ხელმძღვანელობით ძიუდოში დაიწყო ვარჯიში.

პირველ სერიოზულ გამარჯვებას მან 1971 წელს მიაღწია. აქედან მოყოლებული დილარ ხაბულიანი წარმატებით ასპარეზობს იუნიორთა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში. შარშან იგი სსრ კავშირის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი გახდა და წლეულსაც დამაჯერებლად მოიგო ეს ტურნირი ჩელიაბინსკში.

მადა ჰამაში მოდისო. დილარი ახალი სტარტებისთვის ემზადება, გულმოდგინედაც ვარჯიშობს, მაგრამ არც სწავლას ივიწყებს. მისი აზრით, ნამდვილი სპორტსმენი პირველი უნდა იყოს სწავლაშიც.

ხაბულიანი თითით საჩვენებელი სტუდენტია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. პედაგოგები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მათი მოწაფე მტკიცე ხუთოსანი და ლენინური სტიპენდიატია.

დღეს იგი სახელმწიფო გამოცდებისთვის ემზადება, ხვალ კი არანაკლებ პასუხსაგებ სამზადისს იწყებს: დილარსა და მის მწვრთნელს განზრახული აქვთ ახალგაზრდა ძიუდოისტთა I მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა. ამისთვის კი საჭიროა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრა.

დილარი მუდამ ასრულებს განზრახვას. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ იგი თავის პრინციპებს არც ამჯერად უღალატებს.

**ხ. წიკლაური,**
**სპორტის ოსტატი.**

# მეთოთხმეტე სტარტი

რომი, 24 აგვისტო. გუშინ სარდინიის სამ ქალაქში — კალიარში, სასარსა და ნუოროში დაიწყო ევროპის ქალთა XIV ჩემპიონატი კალათბურთში. კალიარში ასპარეზობენ: ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და დანიის გუნდები. სასარიში გამოდიან: სსრ კავშირის, გფრ-ის, უნგრეთისა და იუგოსლავიის კალათბურთელები, ხოლო ნუოროში — ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და ესპანეთის წარმომადგენლები.

წლევანდელი ტურნირის მონაწილეთაგან ევროპის ჩემპიონატებში ყველაზე დიდი წარმატება მოპოვებული აქვთ საბჭოთა კალათბურთელებს. ისინი 11-ჯერ იყვნენ I ადგილზე და მხოლოდ ერთხელ, 1958 წელს, დასჯერდნენ ვერცხლის მედლებს. საპრიზო ადგილების მხრივ მეორე შედეგი აქვთ ჩეხოსლოვაკიელებს. ამ ქვეყნის კალათბურთელები 4-ჯერ ფლობდნენ ვერცხლის მედლებს და 6-ჯერ ბრინჯაოს ჯილდოებს. ბულგარეთის კალათბურთელთა ანგარიშზეა ერთი I, სამი — II და ორი III ადგილი. ერთხელ, ევროპის I ჩემპიონატში გამარჯვებას იტალიელებმა მიაღწიეს.

კონტინენტის ბოლო ჩემპიონატი 1972 წელს გაიმართა ვარნაში. ადგილები იქ შემდეგნაირად განაწილდა: 1. სსრ კავშირი, 2. ბულგარეთი, 3. ჩეხოსლოვაკია, 4. საფრანგეთი, 5. რუმინეთი, 6. უნგრეთი, 7. გდრ, 8. იუგოსლავია, 9. პოლონეთი, 10. იტალია, 11. ჰოლანდია, 12. ავსტრია.

წლევანდელი ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად, რა თქმა უნდა, სსრ კავშირის ნაკრები ითვლება. ჩვენი გუნდის ღირსებას ამ ტურნირში შემდეგი კალათბურთელები იცავენ: მცველები — ნ. ზახაროვა (ლენინგრადის „სპარტაკი", დაიბადა 1945 წ. სიმაღლე 169 სმ), ტ. ოვეჩკინა (მოსკოვის „დინამო", 1950, 174), ო. ბარიშევა (სვერდლოვსკის „ურალმაში", 1954, 170), ნ. შუვაევა (ალმა-ათის „უნივერსიტეტი", 1952, 172); თავდამსხმელები — ლ. კუზნეცოვა (მოსკოვის „დინამო", 1951, 185), ნ. კლიმოვა (კიევის „დინამო", 1951, 185), რ. კურვიაკოვა (დნეპროპეტროვსკის „სტალი", 1945, 185), თ. კალიაგინა (ლენინგრადის „სპარტაკი", 1951, 190), ა. ოვჩინიკოვა (ლენინგრადის „სპარტაკი, 1953, 189); ცენტრალური თავდამსხმელები — უ. სემიონოვა (რიგის ტტტ, 1952, 210), ო. სუხარნოვა (მოსკოვის ოლქი „სპარტაკი", 1955, 193), ნ. ფერიაბნიკოვა (მოსკოვის ოლქი „სპარტაკი", 1949, 194).

გთავაზობთ ჯგუფური ტურნირების შეხვედრათა მეორე და მესამე დღის კალენდარს.

კალიარი. 24 აგვისტო. ჩეხოსლოვაკია — დანია, ჰოლანდია — საფრანგეთი, 25 აგვისტო. ჩეხოსლოვაკია — საფრანგეთი, დანია — ჰოლანდია.

სასარი. 24. გფრ — იუგოსლავია, სსრ კავშირი — უნგრეთი, 25. გფრ — უნგრეთი, სსრ კავშირი — იუგოსლავია.

ნუორო. 24. ბულგარეთი — ესპანეთი, რუმინეთი — პოლონეთი. 25. ბულგარეთი — პოლონეთი, ესპანეთი — რუმინეთი.

ფინალური ტურნირი ჩატარდება 27 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით. ჯგუფურ ტურნირებში I-II ადგილებზე გასულ კოლექტივებს დაემატება ჩემპიონატის მასპინძელი — იტალიის ნაკრები.

გუშინ სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა გფრ-ის გუნდი — 106:57, უნგრეთმა კი მოუგო იუგოსლავიას — 65:57.

# ვიქტორ სანეევი და დანარჩენები

ამ ბოლო ხანს ევროპის მძლეოსნობის რანგთა ტაბელში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ყველა ამ ცვლილებას საფუძვლად უდევს გაახალგაზრდავების ტენდენცია, რაც სავსებით კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ოლიმპიური თამაშების შემდეგ მსოფლიოს სპორტში, როგორც წესი, დიდი თვისებრივი ცვლილებები ხდება ხოლმე. ვეტერანები ტოვებენ სარბიელს. მათს ადგილებს კი იმედითა და ბრძოლის წყურვილით აღსავსე ახალგაზრდობა იკავებს.

თუ რამდენად გეგმაზომიერია თაობათა ეს თავისებური ცვლა, უნდა შემოწმდეს ოლიმპიადის შემდგომ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრებაა ევროპის 1974 წლის პირველობა მძლეოსნობაში, რომელიც სექტემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება რომში.

ევროპული ფორუმისთვის კარგა ხანია გულმოდგინედ ემზადებიან სხვადასხვა ქვეყნის ათლეტები. ემზადებიან საბჭოთა მძლეოსნებიც. სპორტის ბევრი სხვა სახეობის წარმომადგენელთაგან განსხვავებით, მძლეოსანთა სამზადისი და ამ პერიოდში ნაჩვენები შედეგები არასდროს არ არის გასაიდუმლოებული. ინფორმაციის სიუხვე საშუალებას გვაძლევს ჩემპიონატამდე დიდი ხნით ადრე ვიმსჯელოთ ამა თუ იმ ფავორიტის შესაძლებლობათა შესახებ.

დღეს ჩვენი მიზანია გადავხედოთ სამხტომის ოსტატთა მდგომარეობას და შეძლებისდაგვარად შევაფასოთ პრეტენდენტთა შანსები. რატომ მაინცდამაინც სამხტომი ავირჩიეთ საუბრის თემად, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს. ამ სახეობაში საბჭოთა ნაკრების ღირსებას დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მძლეოსანი ვიქტორ სანეევი.

რომში მძლეოსნური სამყარო, როგორც ჩანს, ბევრ ახალ გვარს გაიგებს. ყოველ შემთხვევაში, წლევანდელი სეზონის შედეგებმა უძლიერესთა ათეულებში ბევრი არსებითი გადაჯგუფება მოახდინა. მაგალითად, ჭოკით მხტომელთა სიას სათავეში ჩაუდგა ორი პოლონელი ათლეტი, რომლებიც მანამდე არაფრით გამოირჩეოდნენ. ტ. სლიუსარსკის წლეულს აქვს აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი — 5 მ, 42 სმ, ხოლო მის თანამემამულეს ვ. ბუჩარსკის — მეორე მაჩვენებელი — 5 მ, 40 სმ.

ახალ გვარებს შეხვდებით სიმაღლეზე და სიგრძეზე მხტომელთა შორისაც (დანიელი ე. ტიორინგი, ფრანგი ჟ. ფ. ბონემი, იუგოსლაველი ნ. სტეკიჩი და სხვ.), აგრეთვე, მძლეოსნობის სხვა სახეობებში. რაც შეეხება სამხტომს, აქ პირველობას მტკიცედ ინარჩუნებენ „ვეტერანები": ძირითადი ბრძოლა რომში ამჯერადაც სანეევსა და ი. დრემელს (გდრ) შორის გაჩაღდება.

მაგრამ სამხტომელთა ტურნირი ევროპის ჩემპიონატებში უცნაური კანონზომიერებით გამოირჩევა: იშვიათად მომხდარა, რომ ერთ სპორტსმენს ორჯერ მოეგოს ოქროს მედალი და ჩემპიონის სახელი. მხოლოდ შჩერბაკოვს (სსრ კავშირი) და შმიდტს (პოლონეთი) შეუძლიათ დაიკვეხონ ასეთი წარმატებით.

ვიქტორ სანეევი ორჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის პირველობის მოგება კი მხოლოდ ერთხელ შეძლო. ერთხელ იყო კონტინენტის ჩემპიონი დრემელიც. აი, ამ ორ ფავორიტს შეუძლია გაიმეოროს შჩერბაკოვისა და შმიდტის მიღწევა, თუ, რა თქმა უნდა, ბრძოლაში არ ჩაერივნენ პოლონური სკოლის წარმომადგენლები, პირველ ყოვლისა კი მ. იოახიმოვსკი.

წლევანდელი შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ დრემელს, სანეევსა და იოახიმოვსკის წარმატების თანაბარი შანსები აქვთ. დრემელის საუკეთესო მიღწევა სეზონში 17 მ და 6 სმ-ია, სანეევისა — 17 მ, 5 სმ, იოახიმოვსკისა კი — 17 მ, 3 სმ. მაგრამ სხვადასხვა შეჯიბრებაში, სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა დროს ნაჩვენები შედეგები არ შეიძლება ერთიან კრიტერიუმად მივიღოთ. როცა მეტოქეთა შანსებზეა ლაპარაკი, ანგარიში უნდა გავუწიოთ სპორტსმენთა სუბიექტურ ღირსებებსაც. სანეევის მხარესაა უმდიდრესი გამოცდილება, დახვეწილი ტექნიკა და მებრძოლის თვისებები. დრემელს, როგორც ამბობენ, ნერვები არ „გააჩნია" და ამიტომ მისგან ყოველგვარი სიურპრიზია მოსალოდნელი. იოახიმოვსკის სასარგებლოდ კი მისი ახალგაზრდობა და მონდომება მეტყველებს.

ერთი სიტყვით, ბრძოლა ოქროს მედლისთვის ამჯერადაც მძაფრი იქნება. შანსი მეტოქეებს დაახლოებით თანაბარი აქვთ. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ როგორ შეამზადებს თავის თავს გადამწყვეტი სტარტებისთვის.



სურათზე: ვ. სანეევი.

# ჩოგბურთის „ვუნდერკინდი"

უიმბლდონი — საერთაშორისო საჩოგბურთო მექაა. მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად ცნობილმა ამ ტურნირმა წლეულსაც ბევრი გამოჩენილი ვარსკვლავი მიიზიდა, რომლებიც გამარჯვებულთა კვარცხლბეკისთვის და ბალახიან კორტებზე მსოფლიო ჩემპიონის არაოფიციალური სახელისთვის იბრძოდნენ.

ამ ტურნირზე მაყურებელმა ოჯახური გამარჯვებაც იხილა: 21 წლის ჯ. კონორსმა (აშშ) ფინალურ მატჩში ფარ-ხმალი დააყრევინა კ. როზუოლს (ავსტრალია), ხოლო კონორსის საცოლემ, 19 წლის კ. ევერტმა (აშშ) დაამარცხა საბჭოთა ჩოგბურთელი ო. მოროზოვა. ტურნირს 307.467 მაყურებელი დაესწრო, რაც სარეკორდო ციფრად ითვლება. ბევრმა გამოჩენილმა ჩოგბურთელმა სასტიკი მარცხი იწვნია, ერთმანეთის მიყოლებით ასპარეზობას გამოეთიშნენ ორანტესი (ესპანეთი), ო'კერი (ჰოლანდია), ნასტასე (რუმინეთი), გორმანი (აშშ), შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული კოდეში (ჩეხოსლოვაკია) და ფინალისტი მეტრეველი (სსრ კავშირი), სმითი (აშშ) და მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის ნიუკომბი (ავსტრალია), რაც შეეხება ქალებს, ასეთივე ბედი ეწიათ გულაგონგს (ავსტრალია) და შარშანდელ ჩემპიონ კინგს (აშშ).

იმ ჩოგბურთელთა რიცხვში, რომლებმაც მეოთხედფინალამდე ვერ მიაღწიეს, იყო მეხუთე ნომრად აღიარებული შვედი ბიორნ ბორგიც. ქერათმიან შვედ სპორტსმენს სულ ახლახან შეუსრულდა 18 წელი. თამაშის უჩვეულო სტილის წყალობით იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გახდა, ბევრმა გამოჩენილმა ოსტატმა სცადა მისი ამ ხელწერის შეცვლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბორგი ისე ურტყამს თითქმის უკვე უიმედო მდგომარეობიდან „ტოპ-სინს", როგორც არც ერთი სხვა გამოჩენილი ვარსკვლავი. ასე მიაღწია ზან მაისში პროფესიონალ ჩოგბურთელთა დიდი შეჯიბრების ფინალამდე, სადაც გამოჩენილ ჩემპიონს ჯონ ნიუკომბს შეხვდა. პირველი პარტია ძალიან წააგავდა კატა-თაგვობანას თამაშს, ამასთან „კატის" როლში ბორგი გამოდიოდა. ნიუკომბმა ვერაფერი გააწყო და დამარცხდა — 4:6. საბოლოოდ, გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ორსაათნახევრიანი ბრძოლა ნიუკომბის გამარჯვებით დამთავრდა (6:3, 6:3, 6:2), რომელმაც მატჩის დამთავრების შემდეგ თქვა — არ არსებობს მსოფლიოში ჩოგბურთელი, რომელიც ბორგზე ძლიერად ურტყამდეს. წინა ხაზზე იგი შეუდარებელია.

ამ მარცხიანი გამოსვლის შემდეგ ბიორნმა მოიგო დიდი საერთაშორისო ტურნირები იტალიასა, საფრანგეთში და ისევე, როგორც ეს მანამდე როზუოლმა შეძლო 1953 წელს, მოიპოვა ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონის არაოფიციალური სახელი.

ამიტომ იგი პროფესიონალთა მიერ „ვუნდერკინდად" იქნა მონათლული. თვით ბორგი კი სულ სხვა აზრისაა: „ვუნდერკინდი მე ნამდვილად არა ვარ. თქვენ გჯერათ, რომ ბავშვს შეუძლია ასეთი წარმატების მიღწევა?". მაგრამ ეს სიტყვებია, თვით ბორგი კი ზოგჯერ მართლა პატარა ბავშვივით იქცევა ხოლმე. როცა იგი უიმბლდონში პირველ მატჩს თამაშობდა ავსტრალიელ როზუოლთან და აგებდა მეოთხე პარტიას (1:3), მან დემონსტრაციულად დატოვა მოედანი და მხოლოდ თავისი მწვრთნელის, ერთ დროს მსოფლიოში სახელგანთქმული ჩოგბურთელის ლენარდ ბერგელინის დაჟინებული თხოვნის შემდეგ დაუბრუნდა კორტს. მატჩის დამთავრების შემდეგ იგი ტელეფონისკენ გაექანა, დედას დაურეკა სტოკჰოლმში და თხოვა სასწრაფოდ ჩამოსულიყო ლონდონში. დედა ლონდონში არ ჩასულა: „ბიორნ, შენ თვითონ უნდა გაუძლო ყველაფერს", — ასეთი იყო მისი მოკლე განკარგულება.

გამარჯვების სურვილი ბიორნს 9 წლის ასაკში დაებადა, როცა პირველად აიღო ხელთ ჩოგანი. ეს იყო მამის საჩუქარი პატარა ბიჭუნასთვის. თვითონ ბორგის მამაც გამოჩენილი ჩოგბურთელი იყო, მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილე. მამასთან ერთად პატარა ბორგიც მოგზაურობდა, სწავლობდა, ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. მისი სათაყვანებელი ჩოგბურთელები იყვნენ როდ ლეივერი და არტურ ეში, რომლებისგანაც ბიორნმა ბევრი რამ ისწავლა და გაიგო. ტურნირზე შესვენების დროს ორივე სპორტსმენი ბიორნით იყო დაკავებული და თვალს არ აცილებდა მას.

წლეულს ჩოგბურთის ვარსკვლავად და „ვარსკვლავბიჭუნად" წოდებულმა ბორგმა ზედ ცხვირწინ ააცალა თავის მასწავლებლებს გამარჯვებულის ტიტული და მასთან ერთად — მოზრდილი ფულადი პრემიაც.

„მე ვცდილობ ყოველი მატჩი რაც შეიძლება სწრაფად დავამთავრო. რამდენიმე თვის წინ ამის გაკეთება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ახლა, ვინაიდან უფროსები ადრე მაინცდამაინც არ იწუხებდნენ თავს ჩემთან თამაშის დროს, დღეს კი მათ უკვე იციან, რომ მე შემიძლია მათი დამარცხება და თავგამოდებით მებრძვიან. სასტიკად გადავიღალე. სამი წელია არდადეგები აღარ მქონია, მხოლოდ ჩოგბურთით ვსულდგმულობდი. არა და, როგორ მინდა ისევ წავიდე სათევზაოდ ან ზღვის ტალღებს მივცე თავი".

„მადლობა ღმერთს, ამ ბიჭსაც გააჩნია ადამიანური გრძნობა იყოს დამარცხებული" — წერს შვეიცარიული გაზეთი „სპორტი"...

გერმანულიდან თარგმნა მ. რადიანმა.

* * *

სურათზე: ბ. ბორგი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

## I ლიგა

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲜᲘ

მდგომარეობა 25 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (როსტ.) | 25 | 14 | 6 | 5 | 59—23 | 34 |
| „კრ. სოვ." | 25 | 12 | 9 | 4 | 28—13 | 33 |
| „ლოკ." | 24 | 12 | 5 | 7 | 28—20 | 29 |
| „დინამო" | 24 | 11 | 6 | 7 | 31—25 | 28 |
| „ტექსტილ." | 23 | 11 | 5 | 7 | 33—20 | 27 |
| „პამირი" | 22 | 11 | 5 | 6 | 35—24 | 27 |
| „ნეფთჩი" | 25 | 9 | 9 | 7 | 31—30 | 27 |
| „მეტ." (ლ.) | 24 | 9 | 8 | 7 | 35—30 | 26 |
| „შინიკი" | 23 | 9 | 7 | 7 | 39—35 | 25 |
| „მეტ." (ზ.) | 23 | 9 | 7 | 7 | 31—32 | 25 |
| „კუზბასი" | 24 | 9 | 6 | 9 | 31—27 | 24 |
| „ურალმაში" | 25 | 7 | 9 | 9 | 28—32 | 23 |
| „ზვეზდა" | 25 | 9 | 5 | 11 | 34—40 | 23 |
| „სპარტაკი" (ი.-ფრ.) | 25 | 9 | 5 | 11 | 25—33 | 23 |
| „ტავრია" | 24 | 7 | 8 | 9 | 24—27 | 22 |
| „სპარტაკი" (ორ.) | 25 | 6 | 9 | 10 | 21—29 | 21 |
| „ყუბანი" | 25 | 7 | 5 | 13 | 27—33 | 19 |
| „სტროიტ." | 24 | 7 | 5 | 12 | 23—33 | 19 |
| „სპარტაკი" (ნ.) | 25 | 3 | 11 | 11 | 21—46 | 17 |
| „ტორპედო" | 24 | 3 | 5 | 16 | 21—53 | 11 |

## ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ჩერკასში დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური ტურნირი „სიჭაბუკის თასზე".

წარმატება წილად ხვდათ უკრაინელ ფეხბურთელებს, ხოლო მეორე ადგილზე გავიდა სომხეთის ნაკრები. საქართველოს გუნდს შეეძლო მოეპოვებინა ბრინჯაოს მედლები, მაგრამ ბოლო მატჩში უკრაინელებთან წაგებამ (1:2) იგი IV ადგილზე გაიყვანა. მესამე საპრიზო ადგილი ერგოთ უზბეკეთის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაამარცხეს ბელორუსიის გუნდი — 2:1.

ტურნირში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის. ასეთებად მიჩნეულ იქნენ: მეკარე ნელეპკო (ბელორუსია), მცველი ბესონოვი (უკრაინა), ნახევარმცველი ქარკოვი (უკრაინა) და თავდამსხმელი ბერიძე (საქართველო).

# ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲡᲐᲯᲘ: ᲒᲐᲚᲐᲜᲫᲦᲣᲚᲘ, ᲜᲐᲪᲔᲛᲘ, ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲣᲚᲘ

დასავლეთგერმანული ჟურნალი „შტერნი" ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში გვიამბობს ბურჟუაზიული სპორტის ჩვევებზე, იქ გამეფებულ საიდუმლო მოლაპარაკებებზე და კორუფციებზე, საფეხბურთო მინდვრებზე წინასწარ „ორგანიზებულ" გამარჯვებებზე.

ქვემოდ ვბეჭდავთ ამ წერილის შემოკლებულ თარგმანს.

„ყველა მსაჯი მოსყიდულია", — ამტკიცებს ქალაქ მილანის სპორტული კლუბის ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელი.

„ყალთაბანდები და ბოროტმოქმედნი", — ასე უწოდებს მათ გფრ-ის ნაკრები გუნდის კაპიტანი ბეკენბაუერი.

„მე ვცდილობ მოთამაშეთა ბინძური ლანძღვა-გინება ერთ ყურში შევუშვა და მეორეში გავუშვა", — ამბობს გამოცდილი ჰამბურგელი მსაჯი კლაუს ომზენი.

ოცდამესამე კაცი ფეხბურთის მინდორზე პირველი იწვევს მაყურებელთა უკმაყოფილებას. და, ზუსტად ისე, როგორც კინოში, იგი იძულებულია ათასგვარ ტრიუკებს მიმართოს, რათა ფეხბურთის ფანატიკოსთა თვითგასამართლებას დააღწიოს თავი. იტალიელი ლო ბელო იძულებული გახდა კარაბინერის ფორმა გადაეცვა და სტადიონიდან ფლორენციაში გაქცეულიყო. ფერდინან ბივერსი ქალაქ კარლსრუეს ფეხბურთის მინდვრიდან შვეულმფრენით გაფრინდა, ხოლო კლაუს ომზენი დუისბურგში ჩატარებული მატჩის შემდეგ მინდვრიდან გაიყვანეს... სანიტარული მანქანით.

„ფეხბურთის მსაჯი შეიძლება უყვარდეს მხოლოდ მის ცოლს, მეტს არავის", — სევდიანი ირონიით წერს ლონდონის გაზეთი „ტაიმსი".

შავებში გამოწყობილ სასტვენიან კაცს თამაშის დროს დიქტატორის უფლებები აქვს. მის სახეში გაერთიანებულია გამომძიებელი, პროკურორი და მსაჯი. მსაჯს შეუძლია ერთი ჟესტით გააძევოს მინდვრიდან და ორიოდე კვირით უმუშევარი დატოვოს ყველა მოთამაშე, რომელიც კი მას შეურაცხყოფას მიაყენებს.

მსაჯის გადაწყვეტილება არ შეიძლება შეიცვალოს, თუნდაც ათი ათასობით მაყურებელმა და ტელეკამერამ მისი შეცდომა კარგად შენიშნონ. მისი გადაწყვეტილება უდავო და უკამათოა.

ზოგიერთი ფეხბურთის კლუბი ცდილობს გამოიყენოს ეს აბსოლუტური ბატონობა. ინგლისელმა რეფერიმ ნორმან ბიოტენშოუმ თავის წიგნში „ვის სასარგებლოდ უსტვენთ, მსაჯო?" მსაჯზე ზემოქმედების ათასგვარი ეშმაკური ხერხები აღწერა.

თავად ბიოტენშოუ, თუმცა გვარწმუნებს, მოუსყიდველი ვარო, იქვე აღიარებს, რომ სპორტული კლუბებისგან ოქროს საათებიც მიუღია საჩუქრად და არც სხვის ხარჯზე ქეიფზე ამბობდა უარს.

პორტუგალიელმა მსაჯმა ფრანცისკო მარკეს ლობომ ევროპის ფეხბურთელთა კავშირს აცნობა, რომ მოსყიდვის მიზნით მრავლისაღმთქმელი წინადადება მიიღო. ტურინის კლუბ „იუვენტუსის" შუაკაცი მას დაჰპირდა 20 ათას მარკას, ავტომანქანას, შვებულების უფასოდ გატარებას იტალიაში. სამაგიეროდ, ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალში „დერბი ქაუნტსა" და ტურინის გუნდს შორის მსაჯს უნდა ეზრუნა, რომ შეხვედრა იტალიელებს მოეგოთ.

ჰამბურგელ მსაჯს გერჰარდ შულენბურგს იმავე „იუვენტუსმა" ასევე 20 ათასი მარკა შესთავაზა, ჰოლანდიელი მსაჯი ლეონ ჰორნი კი გვიამბობს ბრილიანტებით მოოჭვილ საათზე, რომელიც „ყურადღების მცირე ნიშნად" გადასცეს მასაც და გვერდით მსაჯებსაც თამაშის დაწყებამდე.

ტურინის სპორტის ფუნქციონერებისგან ოქროს საათი მიიღო იტალიელმა მსაჯმა კონსეტო ლო ბელომაც ტურინისა და მილანის სპორტული კლუბების მატჩის დაწყების წინ. მილანმა, ბუნებრივია, წააგო. „ოქროს საათმა დააბრმავა ლო ბელო", — წერდა ამის გამო იტალიის პრესა.

მაგრამ მსაჯებიც ვერ გრძნობენ თავს დამოუკიდებლად მაყურებელთა კოლექტიური ტერორის წინაშე. როგორც სპორტულმა გაზეთმა „კიკერმა" გამოიანგარიშა, ისინი თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმას მასპინძლების სასარგებლოდ ორჯერ უფრო ხშირად ნიშნავენ, ვიდრე სტუმრების სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური საზღაური გფრ-ის საფეხბურთო მინდვრებზე მსაჯობისთვის უაღრესად ზომიერია, დასავლეთ გერმანიაში 30 ათას კაცს, და რამდენიმე ქალს აქვს მსაჯის მოწმობა. მათგან ორმოცს მინიჭებული აქვს ქვეყნის პირველობის მატჩებში მსაჯობის უფლება, ხოლო შვიდ ყველაზე კვალიფიციურ არბიტრს საერთაშორისო შეხვედრებშიც იწვევენ.

ყველა მსაჯზე, მათ შორის ყველაზე გამოცდილ არბიტრებზეც, დაწესებულია გამუდმებული კონტროლი. ყოველ მატჩზე ტრიბუნაზე ზის უფროსი მსაჯი, რომელიც სპეციალურ ბლანკზე აღნიშნავს მინდორზე მყოფი თავისი კოლეგის ნაკლოვანებებს.

მსაჯს მინუსად ეთვლება, თუ ფეხზე გეტრი ჩაეჩაჩა. კიდევ ერთი მინუსია, თუ მასზე გულშემატკივართა ყვირილი მოქმედებს. ასევე მინუსად ეთვლება არბიტრს, თუ მალულად ფეხის გამოდება ვერ შენიშნა ან მოთამაშეებთან კამათი გააბა.

ანკეტაში 32 გრაფაა. თუ არბიტრმა მატჩის მსვლელობაში ოცზე მეტი მინუსი მიიღო, მას მსაჯობის უფლება ჩამოერთმევა. მსაჯთა კოლეგიის მკაცრი წესდებით, ყველა მსაჯისთვის აუცილებელია კვირაში სამი საწვრთნელი მეცადინეობა.

ძნელი ასახსნელია, რაღაც გროშების გულისთვის რატომ ხარჯავს ხალხი თავისუფალ დროს, რატომ იმეტებს თავს ნერვული დაძაბულობისა და ხიფათისთვის, რატომ ითმენს ლანძღვას და შეურაცხყოფასო, — ირონიულად შენიშნავს „შტერნი". ამ კითხვაზე მსაჯების უმეტესობამ უპასუხა, ფეხბურთში მონაწილეობა ჩვენი ჰობიაო. „ზოგიერთი სიმღერის მოყვარულთა საზოგადოებაში დადის, რათა იქ იმღეროს, მე კი საფეხბურთო მინდორზე დავდივარ, რათა ვუსტვინო", — განაცხადა მსაჯმა გერჰარდ შულენბურგმა.

მაგრამ თავად მსაჯმაც მშვენივრად იცის, რომ საფეხბურთო მინდორზე სტვენა ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე სიმღერა. 1945 წლიდან დღემდე ფიფა-ში — ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში შემავალ ქვეყნებში 200 მსაჯი მოკლეს.

ვ. კუკუშკინი.

„ნედელია" № 33 (753).

# ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ, ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ...

● ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში სულ 45 ქვეყნის გუნდს აქვს ნათამაშევი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ჩემპიონატების 20 საუკეთესო გუნდი დაგროვილი ქულების მიხედვით (პირველი სვეტის ციფრი აღნიშნავს გუნდის მონაწილეობის რაოდენობას ფინალურ ნაწილში).

| | სულ | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 10 | 45 | 29 | 7 | 9 | 109:53 | 65 |
| გფრ | 6 | 35 | 24 | 4 | 7 | 86:50 | 52 |
| იტალია | 8 | 29 | 16 | 5 | 8 | 53:34 | 37 |
| ურუგვაი | 7 | 29 | 14 | 5 | 10 | 57:39 | 33 |
| უნგრეთი | 6 | 23 | 13 | 2 | 8 | 70:34 | 28 |
| შვეცია | 6 | 25 | 11 | 5 | 9 | 47:43 | 27 |
| ინგლისი | 6 | 24 | 10 | 6 | 8 | 34:28 | 26 |
| იუგოსლავია | 6 | 25 | 10 | 5 | 10 | 45:34 | 25 |
| სსრკ | 4 | 19 | 10 | 3 | 6 | 30:21 | 23 |
| არგენტინა | 6 | 22 | 9 | 4 | 9 | 40:39 | 22 |
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 22 | 8 | 3 | 11 | 32:36 | 19 |
| ჩილი | 5 | 18 | 7 | 3 | 8 | 23:24 | 17 |
| საფრანგეთი | 6 | 17 | 7 | 1 | 9 | 38:33 | 15 |
| ესპანეთი | 4 | 15 | 6 | 2 | 7 | 22:23 | 14 |
| ავსტრია | 3 | 12 | 6 | 1 | 5 | 26:26 | 13 |
| პოლონეთი | 2 | 8 | 6 | 0 | 2 | 21:11 | 12 |
| შვეიცარია | 6 | 18 | 5 | 2 | 11 | 28:44 | 12 |
| ჰოლანდია | 3 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:9 | 11 |
| პორტუგალია | 1 | 6 | 5 | 0 | 1 | 17:8 | 10 |
| მექსიკა | 7 | 21 | 3 | 4 | 14 | 21:54 | 10 |

● ყოველი ცალკეული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა ვინაობა ცნობილია. ჩვენ გთავაზობთ იმ ფეხბურთელთა სიას, რომლებსაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ რამდენიმე ჩემპიონატში გატანილი გოლების ჯამით:

ᲛᲘᲣᲚᲔᲠᲘ — 14 გოლი (გფრ, 1970+1974 წ.წ.).
ᲤᲝᲜᲢᲔᲜᲘ — 13 (საფრანგეთი, 1958).
ᲞᲔᲚᲔ — 12 (ბრაზილია, 1958+1962+1966+1970).
ᲙᲝᲩᲘᲨᲘ — 11 (უნგრეთი, 1954).
ᲠᲐᲜᲘ — 10 (გფრ, 1954+1958).
ᲔᲣᲡᲔᲑᲘᲝ — 9 (პორტუგალია, 1966).
ᲟᲐᲘᲠᲖᲘᲜᲘᲝ — 9 (ბრაზილია, 1970+1974).
ᲕᲐᲕᲐ — 9 (ბრაზილია, 1958+1962).
ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲔ — 8 (არგენტინა, 1930).
ᲐᲓᲔᲛᲘᲠᲘ — 8 (ბრაზილია, 1950).
ᲡᲙᲘᲐᲤᲘᲜᲝ — 8 (ურუგვაი, 1950+1954).
ᲖᲔᲔᲚᲔᲠᲘ — 8 (გფრ, 1958+1962+1966+1970).
ᲚᲔᲝᲜᲘᲓᲐᲡᲘ — 7 (ბრაზილია, 1938).
ᲚᲐᲢᲝ — 7 (პოლონეთი, 1974).
ᲛᲘᲒᲣᲔᲡᲘ — 7 (ურუგვაი, 1950+1954).
ᲢᲘᲮᲘ — 7 (უნგრეთი, 1958+1962).

● საფეხბურთო სტატისტიკის მოყვარულთ ალბათ დააინტერესებთ ვინ არის ამა თუ იმ ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი მსოფლიო ჩემპიონატებში. გფრ-ის, საფრანგეთის, ბრაზილიის, უნგრეთის, პორტუგალიის, არგენტინის, ურუგვაისა და პოლონეთის გუნდების ბომბარდირთა ვინაობა ზემოთ მოყვანილი სიიდან ჩანს, ქვემოთ კი გთავაზობთ ზოგიერთი სხვა ქვეყნის საუკეთესო გოლეადორებსაც: პრობსტი (ავსტრია) — 6 გოლი, ვ. ივანოვი (სსრ კავშირი) — 5, ჰერსტი (ინგლისი) — 5, ნეესკენსი (ჰოლანდია) — 5, კუბილასი (პერუ) — 5, ნეედლი (ჩეხოსლოვაკია) — 5, სანჩესი (ჩილი) — 4, სკიაფინო (იტალია) — 4, ბონევი (ბულგარეთი) — 2.

ზ. ბარაყანიძე.

ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲐᲜᲥᲠᲘᲗ



— როგორია საცხენოსნო სპორტის პერსპექტივები?
— ვეტერანებს ვერ დავემდურებით, ძმაო. თბილისში მე და ვახტანგ გორგასალი ვართ ზუდაურებზე ამხედრებული, თელავში — ერეკლე მეფე, კასპში — გიორგი სააკაძე. დანარჩენები არსად ჩანან.



ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ...

ქ. პატიაშვილის ნახატები.

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

## ᲖᲝᲒᲘ ᲥᲘᲠᲘ ᲛᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘᲐ

გახსოვთ რა მღელვარებით ველოდით ფეხბურთის მატჩების დღეებს, რა აღმავლობას იწვევდა მათი მოახლოება ჩვენი ქალაქის მოსახლეობაში, რა პრობლემებს აყენებდა მათ წინაშე?

ყველაზე ზარმაციც კი ენერგიის უჩვეულო მოზღვავებას გრძნობდა, ალმა-დალმა დარბოდა ბილეთის საშოვნელად.

იმ დღეების სამუშაო დროის დიდი ნაწილი იფლანგებოდა კამათსა და პროგნოზებში, პირადი არქივებიდან ამოჰქონდათ ცხრილები, დგებოდა მოკამათეთა სიები, იყო მსჯელობა მათ მიერ ნაწინასწარმეტყველებ შედეგებზე.

იმ დღეს წყდებოდა თათბირები, კრებები, ქორწილები. დასაფლავებაც კი გადაჰქონდათ...

დღის მეორე ნახევარში იწყებოდა დიდი ბრძოლა სტადიონისკენ მიმავალ ავტობუსებში და ტროლეიბუსებში მოხვედრისთვის. მკვეთრად ეცემოდა ტრანსპორტის საშუალო სიჩქარე, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის მარეგულირებელთა მთელი კორპუსი იყო გამოფენილი ქუჩებში.

არც მეორე დღე იყო ნაკლებად დატვირთული: დილიდან სამუშაოს დამთავრებამდე დაწესებულებებში გრძელდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, იბადებოდა ახალი პროგნოზები. ვერავითარი ბრძანება, მითითება და გაფრთხილება ვერ შველოდა საქმეს — ყველაფერი ფეხბურთს ეწირებოდა.

... ახლა წარსულს ჩაბარდა ის დრო.

აღარავინ დარბის ბილეთებისთვის, აღარ ისმის კამათი სამუშაო საათებში, დამთავრდა სატრანსპორტო კრიზისი.

სიწყნარეა...

ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო!

გ. ტალახაძე.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04725